საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/1602
30.12.2025

ბრძანება

1602-01-4-202512301645

სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 18 ივლისის №04/791 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის შესწავლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის 1-ელი პუნქტის, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-17 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის **2025 წლის 18 ივლისის №04/791** ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის შესწავლის თაობაზე გადაწყვეტილება, თანდართული სახით.
2. დადასტურდეს შპს „თრეიდლაინის“ (ს/ნ: 203827449) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევის ფაქტი.
3. კანონდარღვევის აღმოფხვრის მიზნით, შპს „თრეიდლაინს“ (ს/ნ: 203827449) დაევალოს 1 (ერთი) თვის ვადაში აღადგინოს მომხმარებელთა დარღვეული უფლებები და შეუსაბამოს თავისი სავაჭრო პოლიტიკა კანონის მე-13 და მე-14 მუხლის მოთხოვნებს.
4. შპს „თრეიდლაინს“ (ს/ნ: 203827449) დაევალოს, ბრძანების მე-3 პუნქტის შესაბამისად განხორციელებული ქმედების თაობაზე საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოს მიაწოდოს ინფორმაცია ამავე პუნქტით განსაზღვრული ვადის გასვლიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.
5. ეს ბრძანება, თანდართულ გადაწყვეტილებასთან ერთად, გაეგზავნოთ მხარეებს და გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
7. სააგენტოს გადაწყვეტილება მისი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით გაცნობიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64). დარღვევის დადგენის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილების გასაჩივრება სააგენტოს არ ართმევს უფლებას, განახორციელოს კანონის 33-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება და მოვაჭრეს დააკისროს შესაბამისი ჯარიმა.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე

სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს

გადაწყვეტილება

სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 18 ივლისის №04/791 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის შესწავლის თაობაზე

ქ. თბილისი

2025

სარჩევი

თავი 1. აღწერილობითი ნაწილი....3

1.1. განმცხადებლის პოზიცია....3

1.2. მოვაჭრის პოზიცია....3

თავი 2. ნორმატიული რეგულირება....4

თავი 3. სამოტივაციო ნაწილი....10

3.1. მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესების დარღვევა....10

3.2. მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევა....11

3.3. ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ნივთის დაბრუნებასთან დაკავშირებული ვალდებულების დარღვევა....17

თავი 4. სარეზოლუციო ნაწილი....23

თავი 1. აღწერილობითი ნაწილი

სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) წარდგენილი იქნა მოქალაქე, 2025 წლის 11 ივნისის N01/3500 განცხადება - მოვაჭრე შპს „თრეიდლაინის“ (ს/ნ: 203827449) (შემდგომში - მოვაჭრე) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის თაობაზე.

სააგენტომ, სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 18 ივლისის №04/791 ბრძანებით დაიწყო საქმის შესწავლა განცხადების საფუძველზე.

1.1. განმცხადებლის პოზიცია

განცხადების თანახმად, მომხმარებელმა შპს „თრეიდლაინის“ ონლაინ სავაჭრო პლატფორმაზე (ბმული - https://dressup.ge/ka/) შეიძინა ბავშვის საცურაო შორტი, რომლის უკან დაბრუნების მოთხოვნაზე მომხმარებელს უარი ეთქვა მოვაჭრის სავაჭრო პოლიტიკაზე მითითებით, რომლის შესაბამისად ჰიგიენური ნივთები უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.

სააგენტომ 2025 წლის 18 სექტემბრის N02/4233 წერილით განმცხადებლისგან გამოითხოვა პოზიცია მოვაჭრის პოზიციის საპასუხოდ, ასევე, დეტალური ინფორმაცია ნივთის მდგომარეობის შესახებ, მისი მოვაჭრისგან გადმოცემისა და მომხმარებლის მიერ დაბრუნების ინიცირების მომენტისთვის. მომხმარებელს მოეთხოვა დაეზუსტებინა ისეთი დეტალები, როგორიცაა ჰიგიენური იარლიყის შესაძლო არსებობა/არარსებობა ან/და სხვა გარემოებები, რაც ნივთის შეფუთვასთან არის დაკავშირებული.

2025 წლის 30 სექტემბრის N01/5814 წერილით მომხმარებელმა სააგენტოს აცნობა, რომ ნივთი მიიღო ბრენდის იარლიყით, დამატებით ჰიგიენური იარლიყი საცურაო შორტს არ გააჩნდა.

1.2. მოვაჭრის პოზიცია

სააგენტოს მიერ საქმის შესწავლის დაწყების მიზანშეწონილობის საკითხის შესაფასებლად 2025 წლის 17 ივნისის N02/2564 წერილით გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია მოვაჭრისგან განცხადებაში დაფიქსირებულ გარემოებებთან დაკავშირებით.

აღნიშნული წერილის საპასუხოდ მოვაჭრემ წარადგინა 2025 წლის 20 ივნისის N01/3692 წერილი, რომელშიც მიუთითა სავაჭრო პოლიტიკის კონკრეტულ პუნქტზე, რომლის შესაბამისად, ჰიგიენის ნორმებიდან გამომდინარე, წინდების, კოლგოტების, თეთრეულის, საცურაო კოსტიუმების, ბოდეების, აქსესუარების, თმის სამაგრების, საყურეების გაცვლა არ არის შესაძლებელი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გაყიდული ნივთი აღმოჩნდება ნაკლიანი.

სააგენტოს მიერ 2025 წლის 22 ივლისის N02/3225 წერილით, მოვაჭრეს სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 18 ივლისის №04/791 ბრძანებით მოვაჭრის მიერ კანონის შესაძლო დარღვევის თაობაზე დაწყებული საქმის შესწავლის შესახებ.

ამავე წერილით გამოთხოვილი იქნა პოზიცია განცხადებაში დაფიქსირებულ გარემოებებთან დაკავშირებით და ინფორმაცია მოვაჭრის ონლაინ სავაჭრო პოლიტიკის (მომხმარებლებთან ურთიერთობისთვის განკუთვნილი სავაჭრო წესების და პირობების ერთობლიობა) შესახებ, რომლის წარმოსადგენადაც განესაზღვრა 5 სამუშაო დღე.

მოვაჭრემ აღნიშნული წერილის პასუხად 2025 წლის 24 ივლისის N01/4424 წერილში განმარტა, რომ აღნიშნული დანაწესი ჰიგიენის ნორმებიდან გამომდინარეობს, ვინაიდან ჩამოთვლილი პროდუქცია მიეკუთვნება ისეთი სახის თეთრეულს, რომელსაც შემხებლობა აქვს ადამიანის სხეულის ინტიმურ ზონებთან. კომპანიის მხრიდან მათი დაბრუნება და სხვა მომხმარებლისთვის ხელმეორედ მიყიდვა წარმოადგენს ჰიგიენის ნორმების დარღვევას და სხვა მომხმარებელთა ჯანმრთელობის რისკის ქვეშ დაყენებას.

მოვაჭრე ასევე აღნიშნავს, რომ მამაკაცის საცურაო კოსტუმზე შეუძლებელია სტიკერის დაკვრა და ამავდროულად, სტიკერი არ წარმოადგენს ნივთის დაცვის სრულფასოვან საშუალებას.

თავი 2. ნორმატიული რეგულირება

საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება ხაზს უსვამს მომხმარებელთა დაცვის მაღალი დონის უზრუნველყოფისა და მომხმარებელთა დაცვის თავიანთ სისტემებს შორის თავსებადობის კუთხით თანამშრომლობის მნიშვნელობას.

„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანია მომხმარებლის უფლებების სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა და მომხმარებლის პატივისცემაზე დამყარებული ქცევის კულტურის ხელშეწყობა. მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების თაობაზე არსებული კანონის ნორმები უზრუნველყოფს მომხმარებლის უფლებას, საქონლის/მომსახურების შეძენამდე „ინფორმირებული არჩევანის“ ფარგლებში მიიღოს შესყიდვის შესახებ გადაწყვეტილება.

კანონის მე-2 თავი განსაზღვრავს მომხმარებლის უფლებებსა და ვალდებულებებს, კერძოდ, ინფორმირებასთან, საქონლის მიწოდებასთან, შემთხვევით დაღუპვას, გაფუჭებასა და დამატებით ხარჯებთან დაკავშირებულ უფლებებსა და მოვალეობებს.

კანონით განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას. მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ხელშეკრულების დადებამდე მოვაჭრე ვალდებულია მომხმარებელს ***საქართველოს სახელმწიფო ენაზე, მკაფიოდ*** და ***გასაგებად*** მიაწოდოს ***უტყუარი და სრული ინფორმაცია.*** ეს ინფორმაცია უნდა მოიცავდეს:

ა) საქონლის ან მომსახურების დასახელების, მწარმოებლისა და საქონლის ან მომსახურების შესაბამისი არსებითი მახასიათებლების შესახებ, ინფორმაციის მატარებლის სპეციფიკის (მათ შორის, ზომის, შესაძლებლობების) გათვალისწინებით;

ბ) მოვაჭრის ვინაობის (სახელწოდების) და მისამართის (იურიდიული მისამართის) შესახებ; არსებობის შემთხვევაში – მოვაჭრის ელექტრონული ფოსტის მისამართის, ფაქსისა და ტელეფონის ნომრების თაობაზე, რომელთა მეშვეობითაც მომხმარებელს შეეძლება მოვაჭრესთან სწრაფი და ეფექტიანი კომუნიკაცია; არსებობის შემთხვევაში – იმ მოვაჭრის საკონტაქტო ინფორმაცია, რომლის სახელითაც მოქმედებს აღნიშნული პირი;

გ) არსებობის შემთხვევაში – საქონლის შეცვლის, შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ობიექტის დასახელების შესახებ და მისი მისამართის თაობაზე, თუ ის განსხვავდება ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული მისამართისგან;

დ) საქონლის ან მომსახურების ფასის შესახებ, ძირითადი ხარჯებისა და დამატებითი ხარჯების (მათ შორის, ტრანსპორტირების, გადაგზავნის, მონტაჟისა და სხვა) მითითებით, ხოლო თუ, საქონლის ან მომსახურების ბუნებიდან გამომდინარე, აღნიშნული ფასის წინასწარ გამოთვლა შეუძლებელია – მისი გამოთვლის წესის თაობაზე და ინფორმაციას იმის შესახებ, რომ შეიძლება დამატებითი ხარჯები წარმოიშვას;

ე) არსებობის შემთხვევაში – გადახდის, საქონლის ან მომსახურების მიწოდებისა და ვალდებულების შესრულების პირობების შესახებ და მოვაჭრის მიერ მომხმარებლის მოთხოვნის განხილვის წესის თაობაზე;

ვ) კანონისმიერი გარანტიის შესახებ, არსებობის შემთხვევაში – კომერციული გარანტიის თაობაზე, აგრეთვე მომხმარებლისთვის შემდგომი მომსახურების გაწევის პირობების შესახებ;

ზ) არსებობის შემთხვევაში – ხელშეკრულების მოქმედების ვადის შესახებ, ხოლო თუ ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით არის დადებული ან ავტომატურად გრძელდება – ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობების თაობაზე;

თ) არსებობის შემთხვევაში – მომხმარებლის ვალდებულებებისა და მათი შესრულების მინიმალური ვადის/მოქმედების ხანგრძლივობის შესახებ;

ი) ციფრული შინაარსის ფუნქციური მახასიათებლების შესახებ, მათ შორის, არსებობის შემთხვევაში – მისი დაცვისთვის გამოყენებული ტექნიკური საშუალებების თაობაზე, აგრეთვე არსებობის შემთხვევაში – ციფრული შინაარსის აპარატულ ან პროგრამულ

უზრუნველყოფასთან თავსებადობის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მოვაჭრემ იცის ან უნდა სცოდნოდა;

კ) არსებობის შემთხვევაში – ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობების შესახებ.

კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დისტანციური ხელშეკრულების ან სარეწის გარეთ დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში, მოვაჭრე ვალდებულია ხელშეკრულების დადებამდე მომხმარებელს კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციასთან ერთად დამატებით მკაფიოდ და გასაგებად მიაწოდოს ინფორმაცია ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობების, ვადისა და წესის შესახებ.

კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დისტანციური ხელშეკრულების შემთხვევაში, მოვაჭრემ ამ კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია მომხმარებელს უნდა მიაწოდოს დისტანციური კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით, მკაფიოდ და გასაგებად. თუ ეს ინფორმაცია ხანგამძლე მატარებელზეა მიწოდებული, მისი აღქმა შესაძლებელი უნდა იყოს. აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, თუ დისტანციური ხელშეკრულება ელექტრონული საშუალების გამოყენებით იდება, მოვაჭრემ უნდა უზრუნველყოს, რომ მომხმარებელს საქონლის ან მომსახურების შეკვეთისას ერთმნიშვნელოვნად ჰქონდეს გაცნობიერებული, რომ შეკვეთის განთავსება მომხმარებლისთვის გადახდის ვალდებულებას წარმოშობს. თუ მოვაჭრემ ამ პირობის შესრულება არ უზრუნველყო, მომხმარებელს გადახდის ვალდებულება არ წარმოეშობა. მე-3 პუნქტის შესაბამისად, სავაჭრო ვებ-გვერდზე არაუგვიანეს საქონლის ან მომსახურების შეკვეთის პროცესის დაწყებისა, მკაფიო და გასაგები ფორმით უნდა იყოს განთავსებული ინფორმაცია მის მიწოდებასთან დაკავშირებული შეზღუდვების შესახებ (მათი არსებობის შემთხვევაში), აგრეთვე ინფორმაცია გადახდის საშუალების თაობაზე. მე-4 პუნქტის შესაბამისად, თუ ხელშეკრულება იდება დისტანციური კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით, რომელიც არ იძლევა საკმარის დროსა და ადგილს იმისთვის, რომ მოვაჭრემ მომხმარებელს ინფორმაცია მიაწოდოს, ხელშეკრულების დადებამდე მოვაჭრე ვალდებულია მომხმარებელს მიაწოდოს სულ მცირე თავისი ვინაობის (სახელწოდების) შესახებ ინფორმაცია და ამ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „ზ“ ქვეპუნქტებითა და მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია. დისტანციური ხელშეკრულების დადებასთან 7 დაკავშირებული სხვა ინფორმაცია მოვაჭრემ მომხმარებელს უნდა მიაწოდოს ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებულია მომხმარებლის უფლება ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე თქვას უარი დისტანციურ ხელშეკრულებაზე ან/და სარეწის გარეთ დადებულ ხელშეკრულებაზე 14 კალენდარული დღის განმავლობაში, თუ რათქმაუნდა სახეზე არ გვაქვს ამ კანონის მე-14 მუხლით დადგენილი გამონაკლისები.

კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, მომხმარებლის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში მას არ დაეკისრება არანაირი ხარჯის (მათ შორის, მიწოდების ხარჯის) გაწევა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მომხმარებელმა მოვაჭრის მიერ შეთავაზებული სტანდარტული მიწოდების მომსახურებაზე უფრო ძვირი მიწოდების მომსახურება აირჩია ან

საქონლის ფასი შემცირდა ისეთი სარგებლობის შედეგად, რომელიც დაკავშირებული არ არის საქონლის ბუნების, მახასიათებლებისა და ფუნქციონირების დადგენასთან. საქონლის ფასის შემცირების შედეგად წარმოშობილი სხვაობის დაფარვის ვალდებულება მომხმარებელს არ დაეკისრება, თუ მოვაჭრემ მას ამ კანონით გათვალისწინებული ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების შესახებ სრული ინფორმაცია არ მიაწოდა.

მომხმარებელი ვალდებულია მოვაჭრეს 14 კალენდარული დღის ვადაში გაუგზავნოს შევსებული დაბრუნების ფორმა ან სხვა ცალსახა მტკიცებულება, რომელიც ასახავს მომხმარებლის გადაწყვეტილებას საქონლის დაბრუნების შესახებ. თუ აღნიშნულ ვადაში მომხმარებელი არ შეავსებს დაბრუნების ფორმას ან სხვა ცალსახა მტკიცებულებას არ წარუდგენს მოვაჭრეს მომხმარებელი კარგავს ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე ნივთის დაბრუნების უფლებას.

კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგად ქარწყლდება მხარეების მიერ დისტანციური ხელშეკრულებით ან სარეწის გარეთ დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, ხოლო ის, რაც მხარეებმა მისი შესრულებით მიიღეს, მათ უბრუნდებათ.

კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში მოვაჭრე ვალდებულია:

ა) მომხმარებელს გადახდილი თანხა, აგრეთვე არსებობის შემთხვევაში – მიწოდების ხარჯის ასანაზღაურებლად გადახდილი თანხა დაუბრუნოს სრულად, გაჭიანურების გარეშე, ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 14 კალენდარული დღისა. მოვაჭრე ვალდებული არ არის, მომხმარებელს დაუბრუნოს იმ დამატებითი ხარჯის ასანაზღაურებლად გადახდილი თანხა, რომელიც დაკავშირებულია მომხმარებლის მიერ არასტანდარტული ან მოვაჭრის მიერ შეთავაზებული მიწოდების მომსახურებაზე უფრო ძვირი მიწოდების მომსახურების არჩევასთან; ბ) თანხა აანაზღაუროს გადახდის იმავე საშუალებებით, რომლებიც მომხმარებელმა გამოიყენა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მომხმარებელი გადახდის სხვა საშუალების გამოყენებაზე თანხმობას განაცხადებს და მას დამატებითი ხარჯი არ წარმოეშობა.

საერთაშორისო კანონმდებლობა:

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 25 ოქტომბრის 2011/83/EC დირექტივის (შემდგომში - 2011/83 დირექტივა) მიზანია, მომხმარებელთა დაცვის მაღალი დონის მიღწევის გზით, შიდა ბაზრის გამართულად ფუნქციონირების ხელშეწყობა, მომხმარებლებსა და მოვაჭრეებს შორის დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული, წევრ სახელმწიფოთა კანონმდებლობების, რეგულაციებისა და ადმინისტრაციული დებულებების გარკვეული ასპექტების დაახლოების გზით.

2011/83 დირექტივის მთავარი ღირებულება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის მომხმარებლის უფლებების დაცვას საკმაოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. დირექტივის მე-3

თავის მე–5 და მე-6 მუხლები შეიცავს ინფორმაციის იმ ჩამონათვალს, რომლის მიწოდებაც ევალება მოვაჭრეს მომხმარებლისთვის ხელშეკრულების დადებამდე. მე–5 მუხლი ძირითადად შეიცავს იმ ინფორმაციის ჩამონათვალს, რომელიც მომხმარებელს უნდა მიეწოდოს ქუჩაში დადებული და დისტანციური ხელშეკრულებების გარდა ყველა სხვა ხელშეკრულების შემთხვევაში. ხოლო, მე–6 მუხლი კონკრეტულად დისტანციური და ქუჩაში დადებული ხელშეკრულების დადებისას მომხმარებლისთვის მისაწოდებელი ინფორმაციის სრულ ჩამონათვალს მოიცავს. მართალია მე–6 მუხლი უფრო დეტალურად ასახავს, თუ რა სახის ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მომხმარებელს, მაგრამ ის მაინც ეფუძნება ძირითადად მე–5 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2011/83 დირექტივის მე–6 მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით, მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებული მტკიცების ტვირთი მთლიანად მოვაჭრეს ეკისრება. შესაბამისად, მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში სწორედ მოვაჭრემ უნდა ამტკიცოს, რომ მან დირექტივით მასზე დაკისრებული ვალდებულება სრულად შეასრულა და მომხმარებლის ინფორმირება სათანადო დონეზე მოახდინა.

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2019 წლის 20 მაისის 2019/771 დირექტივის (შემდგომში - 2019/771 დირექტივა) მიზანია შიდა ბაზრის ნორმალური ფუნქციონირებს ხელშეწყობა და ამავდროულად, მომხმარებელთა დაცვის მაღალი დონის უზრუნველყოფა მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ცალკეული მოთხოვნების თაობაზე საერთო წესების დადგენით. კერძოდ, საქონლის ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის თაობაზე, შეუსაბამობის შემთხვევაში მომხმარებლის დაცვის საშუალებების, ამ საშუალებების გამოყენების გზებისა და კომერციული გარანტიების თაობაზე.[1]
2019/771 დირექტივის მე-13 მუხლის მიხედვით, ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, მომხმარებელს უფლება აქვს მოითხოვოს საქონლის ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობაში მოყვანა ან საქონლის ფასის პროპორციული შემცირება ან გავიდეს ხელშეკრულებიდან.

2011/83 დირექტივის მე–18 მუხლის თანახმად, მოვაჭრე, საქონლის მიწოდების მიზნით, დაუყოვნებლივ გადასცემს საქონელს მომხმარებლის ფიზიკური მფლობელობის ან კონტროლის ქვეშ, მაგრამ ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 30 დღისა, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდნენ მიწოდების დროზე. როდესაც მოვაჭრე ვერ ასრულებს საქონლის მიწოდების ვალდებულებას მომხმარებელთან შეთანხმებულ დროში (ვადაში), მომხმარებელი მოუწოდებს მოვაჭრეს განახორციელოს მიწოდება, გარემოებასთან შესაფერისი დამატებითი

[1] ევროპარლამენტისა და საბჭოს 2019 წლის 20 მაისის დირექტივა 2019/771 საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულების ცალკეული ასპექტების, 2017/2394 რეგულაციის და 2009/22/EC დირექტივის გაუქმებისა და 1999/44/EC დირექტივის ჩანაცვლების შესახებ, მუხლი 1.

დროის მონაკვეთში. მომხმარებელს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ მოვაჭრე ვერ ასრულებს საქონლის მიწოდებას დამატებითი დროის მონაკვეთში. ეს წესი არ ვრცელდება ნასყიდობის ხელშეკრულებებზე, როდესაც მოვაჭრე უარს ამბობს საქონლის მიწოდებაზე ან როდესაც შეთანხმებულ პერიოდში მიწოდება არის აუცილებელი, ხელშეკრულების დადებისას არსებული ყველა გარემოების გათვალისწინებით ან, როდესაც ხელშეკრულების დადებამდე მომხმარებელი აცნობებს მოვაჭრეს, რომ მიწოდება განსაზღვრულ თარიღამდე ან განსაზღვრული თარიღისთვის არის აუცილებელი. აღნიშნულ შემთხვევებში, თუ მოვაჭრე ვერ აწვდის საქონელს მომხმარებელთან შეთანხმებულ დროში ან კანონით განსაზღვრულ ვადაში, მომხმარებელს აქვს უფლება დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ხელშეკრულება. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მოვაჭრემ დაუყოვნებლივ უნდა აანაზღაუროს ხელშეკრულების ფარგლებში გადახდილი თანხა.

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005 წლის 11 მაისის 2005/29 დირექტივის (შემოდგომში 2005/29 დირექტივა) მიზანია ხელი შეუწყოს შიდა ბაზრის გამართულ ფუნქციონირებას და მომხმარებლების დაცვას მაღალ დონეზე მომხმარებელთა ეკონომიკური ინტერესებისთვის საზიანო არაკეთილსინდისიერი კომერციული პრაქტიკის შესახებ წევრი სახელმწიფოების კანონების, რეგულაციებისა და ადმინისტრაციული დებულებების დაახლოების გზით.

2005/29 დირექტივის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად არაკეთილსინდისიერი კომერციული პრაქტიკა უნდა აიკრძალოს. ამავე დირექტივის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კომერციული პრაქტიკა, ასევე, მიიჩნევა შეცდომაში შემყვანად, თუ, მის ფაქტობრივ კონტექსტში, ყველა მისი მახასიათებლისა და გარემოების და საკომუნიკაციო საშუალებების შეზღუდვების გათვალისწინებით, ის არ შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომელიც საშუალო მომხმარებელს სჭირდება, კონტექსტიდან გამომდინარე, რათა შესყიდვის შესახებ მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება და, შესაბამისად, ის იწვევს ან სავარაუდოდ, გამოიწვევს საშუალო მომხმარებლის მიერ შესყიდვის შესახებ ისეთი გადაწყვეტილების მიღებას, რომელსაც ის სხვა შემთხვევაში არ მიიღებდა.

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის უფლებების დაცვის სააგენტოს უფლებამოსილება:

„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებლის ამ კანონით დადგენილი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, მისი უფლებების დარღვევის პრევენციასა და დარღვეული უფლებების აღდგენის ხელშეწყობას, მომხმარებლის უფლებების დარღვევის ფაქტების გამოვლენასა და დარღვევებზე კანონით გათვალისწინებულ სათანადო რეაგირებას ახორციელებს სააგენტო.

ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააგენტო შეისწავლის მომხმარებლის კანონით დადგენილი უფლების შესაძლო დარღვევის ისეთ ფაქტს, რომელმაც გამოიწვია ან შესაძლოა გამოიწვიოს მომხმარებელთა ჯგუფის უფლების დარღვევა.

საქმის შესწავლის მიზნით სააგენტო უფლებამოსილია განმცხადებლისგან ან/და მოვაჭრისგან გამოითხოვს ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაცია), რომელიც სააგენტოს შესაბამისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სჭირდება.

„საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული წესის (შემდგომში - პროცედურა) მე-6 მუხლის თანახმად, სააგენტო საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ იწყებს საქმის შესწავლას და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას 1 თვის ვადაში. საქმის შესწავლა, მისი მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს 3 თვისა.

თავი 3. სამოტივაციო ნაწილი

3.1. მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესების დარღვევა

კანონი განსაზღვრავს საქმის შესწავლის დაწყების საფუძვლებს. კერძოდ, კანონის 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სააგენტოს მიერ მომხმარებლის უფლების სავარაუდო დარღვევის ფაქტის შესწავლის დაწყების საფუძველია გონივრული ვარაუდი, რომ ამ კანონის მოთხოვნების დარღვევისას, მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესს ზიანი ადგება ან შესაძლოა მიადგეს.

სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის N45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესი გულისხმობს მომხმარებელთა ფართო წრის საერთო ინტერესს. მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესის არსებობის შეფასებისას სააგენტო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ითვალისწინებს იმ პოტენციურ მომხმარებელთა რაოდენობას, ვისზეც შეიძლება გავლენა იქონიოს სადავო ქმედებამ. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, მომხმარებელთა ჯგუფის უფლებ(ებ)ის სავარაუდო დარღვევის ფაქტის განსაზღვრისას, ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს ქმედების ხასიათი და მისი უნარი, გავლენა იქონიოს

მომხმარებელთა ფართო წრეზე ან/და ზიანი მიაყენოს ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ ნებისმიერ მომხმარებელს.

აღსანიშნავია, რომ მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესის (კოლექტიური ინტერესის) ცნებას საფუძველი ფრანგულ იურისპრუდენციაში ჩაეყარა, მას შემდეგ, რაც ქვეყანაში მომხმარებელთა ორგანიზაციებს ბაზრის ზედამხედველობის ფუნქცია მიენიჭათ და 1973 წელს, კანონით უფლება მიეცათ მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესები სასამართლოში დაეცვათ. საფრანგეთის უზენაესი სასამართლოს 1985 წლის გადაწყვეტილებით, მომხმარებელთა ორგანიზაციებს მხოლოდ მაშინ შეეძლოთ სასამართლოში წარმომადგენლობა, თუკი სადავო ქმედება პირდაპირ ან არაპირდაპირ ზიანს აყენებდა მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესებს.[2]

ამ კუთხით სააგენტო ასევე ყურადღებას ამახვილებს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2020 წლის 25 ნოემბრის 2020/1828 დირექტივაზე (შემდგომში - 2020/1828 დირექტივა) რომლის მიხედვით, მომხმარებელთა დაცვის სამართალი იცავს მომხმარებელთა ჯგუფის უფლებებსა და ინტერესებს მოვაჭრის ისეთი ქმედებისაგან, რომელიც ერთობლივად საზიანო იქნება მომხმარებელთა ფართო წრისათვის. აღსანიშნავია, რომ 2020/1828 დირექტივის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტში მოცემულია მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესის პოზიტიური განმარტება. აღნიშნული მიდგომის მიხედვით, მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესი მომხმარებელთა საერთო ინტერესს გულისხმობს.

აღნიშნულის გათვალისწინებით სააგენტო განმარტავს, რომ კანონის 30-ე მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული ჯგუფური ინტერესი გულისხმობს არა ცალკეული მომხმარებლის ინდივიდუალური ინტერესს, არამედ მომხმარებელთა გარკვეული წრის ერთობლივ ინტერესს.

განსახილველ საქმეში იმის გათვალისწინებით, რომ მოვაჭრე მომხმარებლებს არ აწვდის კანონით განსაზღვრული სავაჭრო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციას, ის ზიანს აყენებს არა მხოლოდ კონკრეტულ მომხმარებელს, არამედ, ნებისმიერ პოტენციურ მომხმარებელს, რომელსაც ექნება სურვილი, რომ მიიღოს შესაბამისი საქონელი მოვაჭრისგან, შესაბამისად, იკვეთება მოვაჭრის მხრიდან მომხმარებელთა ჯგუფური ინტერესის დარღვევის ფაქტი.

3.2. მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევა

განსახილველ საქმეში მომხმარებელთა ჯგუფის ფართო წრეზე მოვაჭრის უარყოფითი გავლენის შეფასებისას მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, რა ნაწილში არ შეესაბამება მოვაჭრის საქმიანობა კანონის მოთხოვნებს.

[2] Cass Crim, 20 May, 1985, bull crim 485

გასათვალისწინებელია, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლამდე, მომხმარებელს უნდა მიეწოდოს სრული ინფორმაცია საქონლის ან მომსახურების დასახელების, მწარმოებლისა და საქონლის ან მომსახურების შესაბამისი არსებითი მახასიათებლების შესახებ, ინფორმაციის მატარებლის სპეციფიკის (მათ შორის, ზომის, შესაძლებლობების) გათვალისწინებით; მოვაჭრის ვინაობის (სახელწოდების) და მისამართის (იურიდიული მისამართის) შესახებ; ასევე მოვაჭრის ფაქტობრივი მისამართის შესახებ, თუ ის განსხვავდება იურიდიული მისამართისგან; არსებობის შემთხვევაში – მოვაჭრის ელექტრონული ფოსტის მისამართის, ფაქსისა და ტელეფონის ნომრების თაობაზე, რომელთა მეშვეობითაც მომხმარებელს შეეძლება მოვაჭრესთან სწრაფი და ეფექტიანი კომუნიკაცია; საქონლის შეცვლის, შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ობიექტის დასახელების შესახებ, კანონისმიერი გარანტიის შესახებ, არსებობის შემთხვევაში – კომერციული გარანტიის თაობაზე, აგრეთვე მომხმარებლისთვის შემდგომი მომსახურების გაწევის პირობების შესახებ, ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობების, ვადისა და წესის შესახებ, თუ ხელშეკრულებაზე უარის თქმა შესაძლებელია, აგრეთვე ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში შესავსები ფორმა; ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მომხმარებელი ხელშეკრულებაზე უარს ვერ იტყვის, თუ, კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულებაზე უარის თქმა შეუძლებელია; ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დისტანციურ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში მომხმარებელი ვალდებულია გასწიოს საქონლის დაბრუნების ხარჯი, თუ, საქონლის ბუნებიდან გამომდინარე, მისი ფოსტით დაბრუნება შეუძლებელია.

მოვაჭრის მიერ ზემოაღნიშნული ვალდებულების დარღვევა ზიანს აყენებს არა მხოლოდ კონკრეტულ მომხმარებელს, არამედ, ნებისმიერ პოტენციურ მომხმარებელს, რომელსაც ექნება სურვილი, რომ მიიღოს შესაბამისი საქონელი მოვაჭრისგან.

კანონის მე-5 მუხლი მოვაჭრეს აკისრებს ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას. მომხმარებელს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღოს შესაბამისი და რელევანტური ინფორმაციის საფუძველზე. იმის გათვალისწინებით, რომ ის ხელშეკრულების ნაკლებად დაცული მხარეა, მის კონტრაჰენტს, მოვაჭრეს ავალდებულებს მაქსიმალურად მოახდინოს მომხმარებლის ინფორმირება. მას უნდა შეეძლოს გადაწყვეტილება სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლასთან დაკავშირებით მიიღოს რაციონალურად, გააზრებულად და რაც ყველაზე მთავარია, საკმარისი და ამომწურავი ინფორმაციის საფუძველზე. ხელშეკრულების დადებამდე მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება მას საშუალებას აძლევს გააკეთოს ე.წ. „ინფორმირებული არჩევანი“ და დაიცვას მისი ეკონომიკური ქცევაც. ქართული კანონმდებლობის მსგავსად ანალოგიურადაა განმარტებული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ევროკავშირის №2011/83 დირექტივაშიც.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო №C-649/17 საქმეზე აღნიშნავს, რომ ევროკავშირის №2011/83 დირექტივის მიზანია სამომხმარებლო ურთიერთობებში

მომხმარებელთა უფლებების დაცვის მაღალი დონის უზრუნველყოფა - მათ შორის, დისტანციური და სარეწს გარეთ დადებული ხელშეკრულებების დროს.[3]

მოვაჭრე კომერციული საქმიანობის განხორციელებისას ვალდებულია, მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია ნათელი და ყოვლისმომცველი ფორმით. დირექტივა მოვაჭრეებს ავალდებულებს უზრუნველყონ კომუნიკაციის ეფექტიანი საშუალებები,[4] რაც მომხმარებლებს გაუადვილებს მოვაჭრესთან დაკავშირებას.

№C-430/17 საქმეზე ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო განმარტავს დირექტივის მე-6 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების მნიშვნელობას სამომხმარებლო ურთიერთობის ეფექტური განხორციელებისთვის. წინასახელშეკრულებო ეტაპზე, მომხმარებლისთვის ნივთის ან მისაღები მომსახურების შესახებ მიწოდებული სრულყოფილი ინფორმაცია განსაზღვრავს მომხმარებლის ნებას, შეიბოჭოს თუ არა სახელშეკრულებო ვალდებულებით. [5]

ხელშეკრულების დადებამდე ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება მომხმარებლისათვის უმნიშვნელოვანესი დაცვის მექანიზმია. მომხმარებლის სისუსტის განმაპირობებელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი სწორედ ნაკლები ინფორმირებულობაა, ეს მას სათანადო არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას ართმევს, თუმცა ვალდებულების ამ სახის არსებობა, თავისუფალი ნების ფორმირებისა და გამოვლენის დაცვის გარანტიაა.[6]

განსახილველ შემთხვევაში, მოვაჭრის გვერდზე (https://dressup.ge/ka/content/9-moxmarebis-cesebi-da-pirobebi) არსებული ინფორმაციის შემოწმების საფუძველზე, სააგენტოს შეფასებით, მოვაჭრის კომერციული საქმიანობა ნაწილობრივ არ შეესაბამება კანონით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდების სტანდარტს.

დისტანციური ვაჭრობისას ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებასთან დაკავშირებით, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ როგორც წინასახელშეკრულებო ეტაპზე, ასევე ხელშეკრულების დადებიდან პირველივე შესაძლებლობისას, მომხმარებელს უნდა მიეწოდოს აუცილებელი ინფორმაცია. აქვეა გასათვალისწინებელი, რომ მომხმარებელს დისტანციურ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება აქვს ყოველგვარი მიზეზის გარეშე, ხელშეკრულების დადებიდან 14 დღის განმავლობაში.[7]

14 დღის განმავლობაში ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უფლებაა, რომელიც დისტანციურ ხელშეკრულებებში მომხმარებლის დაცვას ემსახურება. იმისთვის, რომ აღნიშნული უფლებით

---

[3] ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2019 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე #C-649/17
[4] იქვე, აბზაცი 53
[5] ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2019 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე #C-430/17
[6] თ.ლაკერბაია, ვ.ზაალიშვილი, თ.ზოიძე, მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი (ევროპულ სამართალტრან ჰარმონიზაციის გზა),შზსუ, თბილისი 2018, გვ.122
[7] იქვე გვ.179

გათვალისწინებული დაცვა ეფექტიანი იყოს, მოვაჭრემ კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სრულყოფილად უნდა მიაწოდოს მომხმარებელს ინფორმაცია ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობების, ვადისა და წესის შესახებ და ასევე, უზრუნველყოს ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში შესავსები ფორმით.

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011/83 დირექტივის პრეამბულაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ვინაიდან, დისტანციურად ვაჭრობისას მომხმარებელს ხელშეკრულების დადებამდე საქონლის ნახვის შესაძლებლობა არ აქვს, მას უფლება უნდა ჰქონდეს, რომ უარი თქვას ხელშეკრულებაზე. ამასთან, მას უნდა შეეძლოს, შეამოწმოს და დატესტოს შეძენილი საქონელი იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია მისი ბუნების, მახასიათებლებისა და ფუნქციონალების დასადგენად.[8]

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სამომხმარებლო ხელშეკრულებებში მოვაჭრესთან შედარებით მომხმარებლის პოზიცია სუსტია. ივარაუდება, რომ ეს უკანასკნელი ნაკლებად ინფორმირებული, ეკონომიკურად უფრო სუსტი და სამართლებრივ საკითხებში ნაკლებად გათვითცნობიერებულია, ვიდრე ხელშეკრულების მეორე მხარე.[9]

მომხმარებელი კიდევ უფრო სუსტ პოზიციაში იმყოფება, როდესაც ის დისტანციურ ტრანზაქციას ახორციელებს. როგორც ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო განმარტავს, ხელშეკრულებაზე უარს თქმის უფლება სწორედ დისტანციური ვაჭრობისას მომხმარებლის დაცვის მიზნით შეიქმნა და მისი ამოცანა დისტანციური ხელშეკრულების დადებისას მოვაჭრისა და მომხმარებლის პოზიციების დაბალანსებაა, მომხმარებლისთვის სათანადო დროის მიცემის გზით შეძენილი საქონლის შემოწმებისა და დატესტვისთვის.[10]

კანონის მე-10 მუხლი განსაზღვრავს დისტანციური ხელშეკრულების ან სარეწის გარეთ დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში იმ დამატებით ინფორმაციას, რომლიც მოვაჭრემ მე-5 მუხლით განსაზღვრულ ინფორმაციასთან ერთად დამატებით, მკაფიოდ და გასაგებად უნდა მიაწოდოს მომხმარებელს. განსახილველ შემთხვევაში მნიშვნელოვანია კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები, რომლის თანახმადაც სავალდებულოა მიწოდებულ იქნეს ინფორმაცია:

დ) ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობების, ვადისა და წესის შესახებ, თუ ხელშეკრულებაზე უარის თქმა შესაძლებელია, აგრეთვე ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში შესავსები ფორმა;

---

[8] იხ. სქოლიო 1, პრეამბულა, აბზაცი 37.

[9] CJEC, Komisia za zashtita na potrebitelite v Evelina Kamenova, other party: Okrazhna prokuratura — Varna, Case C-105/17, 4 October 2018, para. 34.

[10] CJEU, slewo — schlafen leben wohnen GmbH v Sascha Ledowski, Case C-681/17, 27 March 2019, , para. 33.

ე) ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მომხმარებელი ხელშეკრულებაზე უარს ვერ იტყვის, თუ, ამ კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულებაზე უარის თქმა შეუძლებელია;

მოვაჭრის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით შეძენილი პროდუქტის უპირობოდ დაბრუნება შესაძლებელი არ არის განსაზღვრულ შემთხვევებში. ჩამოყალიბებული გამონაკლისების ნაწილი კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული გამონაკლისების იდენტურია, თუმცა ქვემოთ წარმოდგენილი პუნქტები წინააღმდეგობაშია კანონმდებლობასთან:

- **ჰიგიენის ნორმებიდან გამომდინარე, წინდების, კოლგოტების, თეთრეულის, საცურაო კოსტიუმების, ბოდეების, აქსესუარების დაბრუნება არ არის შესაძლებელი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გაყიდული ნივთი აღმოჩნდება ნაკლიანი!!**
- **კომპანია ასევე არ იბრუნებს/ცვლის ფეხსაცმლის მოვლის საშუალებებს.**

ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე დისტანციურ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების განსაკუთრებული მნიშვნელობის მიუხედავად, სამომხმარებლო ურთიერთობებში შესაძლოა დადგეს შემთხვევები, როდესაც მომხმარებლისთვის აღნიშნული უფლების მინიჭება მოვაჭრეს გაუმართლებლად არასახარბიელო მდგომარეობაში ჩააყენებდა. სწორედ ამიტომ, კანონმდებელმა ევროდირექტივის შესაბამისად, კანონის მე-14 მუხლით ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე ხელშეკრულებაზე უარის თქმასთან დაკავშირებული გამონაკლისები გაითვალისწინა.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკით დადგენილია, რომ გამონაკლისები, რომლებიც კანონმდებლის მიერ შეთავაზებული დაცვის შეზღუდვას ემსახურება, განსაკუთრებული სიზუსტით უნდა განიმარტოს.[11] მაშასადამე, მოვაჭრემ მის სტანდარტულ პირობებში დისტანციურ ხელშეკრულებაზე უარის თქმასთან დაკავშირებული პირობების განსაზღვრისას სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს და მომხმარებლის უფლება, 14 დღის ვადაში უპირობოდ დააბრუნოს დისტანციურად შეძენილი საქონელი, იმაზე მეტად არ შეზღუდოს, ვიდრე ეს კანონით არის გათვალისწინებული.

„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს გამონაკლისებს.

2. მომხმარებელს არ აქვს უფლება, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ:

ა) მოვაჭრემ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სრულად გასწია, მან მომსახურების გაწევა მომხმარებლის წინასწარი თანხმობით დაიწყო და მომხმარებელმა

[11] CJEU, Monika Kušionová v SMART Capital a.s., Case C-34/13, 10 September 2014. Para. 77;

slewo — schlafen leben wohnen GmbH v Sascha Ledowski, para. 34.

იცოდა, რომ მომსახურების სრულად მიღების შემთხვევაში დაკარგავდა ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას;

ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებულია, რომ მიწოდებული საქონლის ან მომსახურების ფასი დამოკიდებულია ფინანსურ ბაზარზე არსებულ ცვლილებაზე, რომელსაც მოვაჭრე ვერ აკონტროლებს და რომელიც ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების განხორციელებისთვის ამ კანონით დადგენილ ვადაში წარმოიშვა;

გ) მიწოდებული საქონელი ან მომსახურება მომხმარებლის ინდივიდუალური შეკვეთით არის დამზადებული ან აშკარად მის პირად საჭიროებებზეა მორგებული;

დ) მიწოდებული საქონელი მალფუჭებადია ან მას მოკლე ვარგისობის ვადა აქვს;

ე) მას მიეწოდა ჰერმეტულად დაცული საქონელი, მისი ჰერმეტულობა მიწოდების შემდეგ დაირღვა და, ამდენად, საქონლის დაბრუნება შეუძლებელია ჯანმრთელობის ან ჰიგიენური ნორმების დაცვის გამო;

ვ) მიწოდებული საქონელი მიწოდების დროს, მისი მახასიათებლებიდან გამომდინარე, განუყოფლად შეერწყა სხვა საქონელს;

ზ) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მომხმარებელმა მოვაჭრე გადაუდებელი სარემონტო/ტექნიკური მომსახურების გასაწევად გამოიძახა. ეს შეზღუდვა არ ვრცელდება ამ ვიზიტის ფარგლებში აღნიშნული მომსახურების მიღმა გაწეულ დამატებით მომსახურებაზე;

თ) მიწოდებულ იქნა დალუქული აუდიო- ან ვიდეოჩანაწერი ან პროგრამული უზრუნველყოფა და მისი ლუქი მიწოდების შემდეგ დაირღვა;

ი) მიწოდებულ იქნა ჟურნალ-გაზეთები ან სხვა სახის პერიოდული გამოცემა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათი/მისი მიწოდების საფუძველი სააბონენტო ხელშეკრულებაა;

კ) ხელშეკრულება საჯარო აუქციონის შედეგად დაიდო;

ლ) ხელშეკრულება დაიდო უძრავი ქონების არასაცხოვრებელი მიზნით გადაცემაზე, საქონლის გადაზიდვაზე, სატრანსპორტო საშუალების ქირავნობაზე, კვების ორგანიზებაზე ან დასვენებასთან დაკავშირებულ მომსახურებაზე და მასში მითითებულია ხელშეკრულების შესრულების განსაზღვრული თარიღი ან პერიოდი;

მ) მას ციფრული შინაარსი მიეწოდა არამყარი მატარებლით, ხელშეკრულების შესრულება მომხმარებლის წინასწარი თანხმობით დაიწყო და მომხმარებელმა იცოდა, რომ ამით დაკარგავდა ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას;

ნ) ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ალკოჰოლური სასმელების მიწოდება, რომელთა ფასი შეთანხმდა ხელშეკრულების დადების მომენტში, ხოლო მიწოდება მოხდება 30 დღის შემდეგ, ამასთანავე, აღნიშნული ფასი დამოკიდებულია ბაზარზე არსებულ მერყეობაზე, რომელსაც მოვაჭრე ვერ აკონტროლებს;

ო) ხელშეკრულებით გათვალისწინებულია სპორტული ან კულტურული ღონისძიების ბილეთის მიწოდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრულია აღნიშნული ბილეთის დაბრუნების შესაძლებლობა, წესი და პირობები.

კომპანიის მიერ განსაზღვრული უპირობო დაბრუნების უფლებასთან დაკავშირებული საგამონაკლისო ჩანაწერების ზეაღნიშნული კონკრეტული დანაწესები არ ექცევა მე-14 მუხლით დადგენილი გამონაკლისებიდან არც ერთში, შესაბამისად, ჩანაწერები არაკანონიერად ზღუდავს მომხმარებლის უფლებას უპირობო დაბრუნებასთან დაკავშირებით.

ამდენად, მოვაჭრის მიერ ჩამოყალიბებული წესები და პირობები წინააღმდეგობაშია კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ უპირობოდ დაბრუნების უფლებასთან და მე-14 მუხლში ჩამოყალიბებულ საგამონაკლისო შემთხვევებთან.

3.3. ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ნივთის დაბრუნებასთან დაკავშირებული ვალდებულების დარღვევა

საქმის შესწავლის პროცესში სააგენტომ ასევე გამოიკვლია მოვაჭრის მიერ უფლების სავარაუდო დარღვევის ფაქტი.

განმცხადებლის მოთხოვნას წარმოადგენდა დისტანციურად შეძენილი საცურაო შორტის უპირობო დაბრუნება, რაზეც მოვაჭრემ უარი განაცხადა სავაჭრო პოლიტიკის შემდეგ დანაწესზე მითითებით: ***„ჰიგიენის ნორმებიდან გამომდინარე, წინდების, კოლგოტების, თეთრეულის, საცურაო კოსტიუმების, ბოდეების, აქსესუარების დაბრუნება არ არის შესაძლებელი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გაყიდული ნივთი აღმოჩნდება ნაკლიანი!!“***

ასეთ შემთხვევაში სააგენტო აფასებს სადავო ჩანაწერი ხომ არ ექცევა მე-14 მუხლით დადგენილი რომელიმე გამონაკლისის ფარგლებში.

კანონის მე-14 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით, მომხმარებელს არ აქვს უფლება, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, **თუ მას მიეწოდა ჰერმეტულად დაცული საქონელი, მისი ჰერმეტულობა მიწოდების შემდეგ დაირღვა და, ამდენად, საქონლის დაბრუნება შეუძლებელია ჯანმრთელობის ან ჰიგიენური ნორმების დაცვის გამო.**

მიუხედავად იმისა, რომ მოვაჭრის პოზიცია ჰიგიენურ მოტივაციაზეა დამყარებული, კანონმდებელი გამონაკლისს მკაფიოდ ავიწროებს მხოლოდ იმ შემთხვევებზე, როდესაც საქონელი *ჰერმეტულად დაცულია*, ხოლო მისი ჰერმეტულობა მომხმარებლის მიერ გახსნის შემდეგ ირღვევა, რაც შეუძლებელს ხდის დაბრუნებას ჯანმრთელობისა და ჰიგიენური ნორმების დაცვის გამო. პრაქტიკაში კი სწორედ ამ ნორმის ინტერპრეტაციაზეა დამოკიდებული, შეიძლება თუ არა საცურაო შორტზე გავრცელდეს აღნიშნული გამონაკლისი. ამიტომ, აუცილებელია ნორმის შინაარსის ზუსტად განსაზღვრა და ინტერპრეტაცია განხორციელდეს ნორმის განმატების საერთო პრინციპების დაცვით.

საქართველოს უზენაესი სასამართლო 2019 წლის 04 დეკემბრის გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ სამართლიანობის მიღწევის გარდა, სამართლის ამოცანაა, უზრუნველყოს სამართლებრივი უსაფრთხოება და ინტერესთა ოპტიმალური და მიზანშეწონილი დაკმაყოფილება. ყოველივე ეს მიზანი გათვალისწინებულ უნდა იქნას კანონის ინტერპრეტაციისა და განვრცობის პროცესში. კანონის ინტერპრეტაციის მიზნის მისაღწევად ანუ კანონის აზრის გასაგებად, გამოიყენება განმარტების გრამატიკული, ლოგიკური, ისტორიული და სისტემური ხერხები. [12]

შედარებით-სამართლებრივ მეთოდს ხშირად უწოდებენ „სამართლის განმარტების მეხუთე მეთოდს“.[13] შედარებით-სამართლებრივ მეთოდს დიდი დახმარების გაწევა შეუძლია სამართლის ზოგადი პრინციპების განმარტების პროცესში. ქართული სამართლის სისტემა, ტრადიციულად, განეკუთვნება კონტინენტური ევროპის სამართლის ოჯახს, სამართლის კლასიკური კატეგორიების განმარტებისას სასურველია, რომ გავითვალისწინოთ ამ ქვეყნების სასამართლო პრაქტიკა. [14]

2019 წლის 04 დეკემბრის გადაწყვეტილებაში საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ნორმის შინაარსის გარკვევა იწყება გრამატიკული განმარტებით. გრამატიკული განმარტებისას ნორმის შინაარსის დადგენა ხდება სიტყვათა მნიშვნელობისა და გრამატიკული წესების მიხედვით. კანონის ტექსტში გამოყენებულ სიტყვას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მნიშვნელობა. სიტყვის მნიშვნელობა შეიძლება გაირკვეს არა იზოლირებულად, არამედ ტექსტთან კავშირში (კონტექსტში). გრამატიკული განმარტება არკვევს არა ერთმანეთისაგან იზოლირებული სიტყვების, არამედ მთლიანად წინადადებების მნიშვნელობას. გრამატიკული განმარტება, ასევე ითვალისწინებს სიტყვათა შორის ლოგიკურ კავშირს და მთლიანად წინადადების ლოგიკურ სტრუქტურას.[15]

გრამატიკული მეთოდის მეშვეობით ხდება კანონის ნორმის, მისი ცალკეული წინადადების გამოკვლევა გამოყენებული სიტყვების მნიშვნელობის, სიტყვათა წყობისა და გრამატიკის ზოგადი წესების მიხედვით. ამ დროს მხედველობაში მიიღება როგორც ცალკეული სიტყვისა თუ ფრაზის ზოგადი (ენობრივი) გამოყენება, ისე იურიდიული, უპირატესად შესაბამის კანონში მინიჭებული მნიშვნელობა. [16]

გრამატიკული განმარტების მეთოდის გამოყენების შედეგად სააგენტო მიიჩნევს, რომ აღნიშნულ მუხლში ადგილი აქვს კუმულაციას და არა ალტერნატივას. აღნიშნული მუხლი თავის შემადგენლობაში ითვალისწინებს სამ ძირითად კუმულატიურ ელემენტს. 1. სახეზე უნდა იყოს ჰერმენტულად დალუქული საქონელი 2. ჰერმეტულობა დარღვეული უნდა იქნეს

---

[12] საქმე №ას-559-2019 04 დეკემბერი, 2019 წელი

[13] Häberle, P., Grundrechtsgeltung und Grundrechtsinterpretation im Verfassungsstaat. Zugleich zur Rechtsvergleichung als ‘fünfter’ Auslegungsmethode, in: Juristische Zeitschrift, 1989, S. 193 ff.

[14] გიორგი ხუბუა, „სამართლის თეორია“, მეორე, შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2015, გვ. 187-188

[15] საქმე №ას-559-2019 04 დეკემბერი, 2019 წელი

[16] დ.კერესელიძე, კერძო სამართლოს უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009

მიწოდების შემდეგ და 3. საქონლის დაბრუნება შეუძლებელი უნდა იყოს ჯანმრთელობისა და ჰიგიენური ნორმების დაცვის გამო.

მოვაჭრე თავის პოზიციაში აპელირებს ჰიგიენურ ნორმებზე. ვინაიდან, სახეზე უნდა იყოს ზემოთხსენებული სამივე ელემენტი სააგენტო პირველ რიგში აფასებს რამდენად იყო საქონელი ჰერმეტულად დაცული. აღსანიშნავია, რომ მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ კანონი არ ითვალისწინებს *ჰერმატულად დაცული* საქონლის დეფინიციას, აქედან გამომდინარე, სააგენტო აღნიშნულ ტერმინს განმარტავს ამ კანონის მიზნებისათვის და მის შესაბამისად.

სიტყვა სიტყვითი განმარტებით, ჰერმეტულად დაცული ნიშნავს ჰაერგაუმტარ შეფუთვას, რომელიც უზრუნველყოფს პროდუქტის დაცვას მიკროორგანიზმებისა და გარე ფაქტორებისგან მისი გახსნის მომენტამდე. კონკრეტული საქონლის თვისებებიდან შეიძლება გამომდინარეობდეს მისი შეფუთვის ჰიგიენურ ან ჯანმრთელობის დაცვის მიზნით დალუქვის აუცილებლობა. ამ დალუქვის დარღვევის შემდეგ კი პროდუქტი ვეღარ ინარჩუნებს იმავე ჰიგიენურ ან ჯანმრთელობის გარანტიას.[17] მიუხედავად ამისა, აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ პრაქტიკაში ყველა ის შეფუთვა, რომელიც ჯანმრთელობის ან ჰიგიენური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად არის დალუქული, არ წარმოადგენს ტექნიკური თვალსაზრისით აბსოლუტურად ჰაერგაუმტარ კონსტრუქციას.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წლის 27 ივნისს დადებული ასოცირების შესახებ შეთანხმება, სხვა სფეროებთან ერთად, სამომხმარებლო სფეროში ადგენს ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან ეტაპობრივად დაახლოების ვალდებულებას. დირექტივები დაჯგუფებულია შემდეგ თემებად: პროდუქტის უსაფრთხოება, მარკეტინგი, სახელშეკრულებო სამართალი, ფინანსური მომსახურება, სამომხმარებლო კრედიტი, კომპენსაცია, აღსრულება და მომხმარებლის დაცვის სფეროში თანამშრომლობა[18]

„საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებით“ საქართველომ აიღო ვალდებულება, გაატაროს რეფორმები და უზრუნველყოს ქვეყნის კანონმდებლობის ევროკავშირის 300-მდე სამართლებრივ აქტთან პროგრესული დაახლოება (ეტაპობრივად, შეთანხმებული ვადების მიხედვით), მათ შორის, სამომხმარებლო სფეროში, რის საფუძველზეც ქვეყნის კანონმდებლობის ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან, მათ შორის, სამომხმარებლო სფეროში არსებულ დირექტივებთან, რეგულაციებსა და რეკომენდაციებთან დაახლოების ვალდებულებას ვალდებულების შესასრულებლად შემუშავდა საქართველოს კანონი მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ.

გამომდინარე აქედან, კანონი ეფუძვნება ევროპულ დირექტივათა პრინციპებს და კონცეფციებს, შესაბამისად, ამ გზით დაცული ზემოხსენებული სიკეთეების დასაცავად

[17] CJEU, slewo — schlafen leben wohnen GmbH v Sascha Ledowski, Case C-681/17, 27 March 2019, , para. 33.

[18] მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტი რეგულირების ზეგავლენის შეფასება 2019 წ. იანვარი

განხორციელებული ნებისმიერი ქმედება უნდა გამომდინარეობდეს ნორმის ტელეოლოგიური განმარტებიდან და არ უნდა არღვევდეს მის ნამდვილ არსს. სააგენტო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს ნორმის განმარტების ტელეოლოგიური და შედარებით-სამართლებრაივი მოდელი კომბინაციაში.

აღსანიშნავია, რომ ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ slewo-ს საქმეში დირექტივის მე-14 მუხლის „ე" ქვეპუნქტის დირექტივის ანალოგიური მუხლზე მსჯელობისას სასამართლომ აღნიშნა, რომ დირექტივის მიზნებისთვის, გასათვალისწინებელია არა მხოლოდ ამ დებულების ფორმულირება, არამედ მისი კონტექსტი და ის მიზანი, რომელსაც ის ესწრაფვის.

ტელეოლოგიური განმარტება წარმოადგენს ნორმის ლოგიკური განმარტების ერთ-ერთ მეთოდს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 02 აპრილის გადაწყვეტილებაში განმარტებულია, რომ ტელეოლოგიური განმარტების დროს შესაფასებელია სამართლის ნორმის მიმართება სამართლებრივი უსაფრთხოების, თანასწორობისა და მიზანშეწონილობის პრინციპების მიმართ.[19]

მნიშვნელოვანია სამართლის ნორმის (და არა მთელი კანონის) აზრი და მიზანი, ratio legis („ტელეოლოგიური განმარტება"). რეგულაციის მიზანი ზოგადად ისაა, რომ ურთიერთდაპირისპირებული ინტერესები გარკვეული სახით გაწონასწორდეს. სამართლის ნორმის განმარტება იმგვარად არ შეიძლება, რომ სამართლის სხვა ნორმას აზრს უკარგავდეს. „ნორმის განმარტებისას გადამწყვეტია კანონის არსის გათვალისწინება და მისი მიზნის შესაბამისი განმარტება. ამასთან, მხედველობაში მიიღება არა მხოლოდ მიზანი, რომლის მიღწევასაც ესწრაფვის კანონმდებელი შესაბამისი ნორმით, არამედ ასევე ამ მიზნის სამართლიანობა და მიზანშეწონილობა. ეს განპირობებულია იმით, რომ თითოეული დებულება არ განიხილება არც შესაბამისი ინსტიტუტებისა თუ ცნებათა სისტემისგან იზოლირებულად, არც სამართლებრივი წესრიგისათვის დამახასიათებელი ფასეულობებისაგან დამოუკიდებლად. ის სამართლიანი და მიზანშეწონილობაზე დამყარებული სამართლებრივი წესრიგის ნაწილია.[20]

ცალკეული ნორმის განმარტებისას გადამწყვეტია კანონის არსის გათვალისწინება და მისი მიზნის შესაბამისი განმარტება. ამასთან, მხედველობაში მიიღება არა მხოლოდ მიზანი, რომლის მიღწევასაც ესწრაფვის კანონმდებელი შესაბამისი ნორმით, არამედ ასევე ამ მიზნის სამართლიანობა და მიზანშეწონილობა. ეს განპირობებულია იმით, რომ თითოეული დებულება არ განიხილება არც შესაბამისი ინსტიტუტებისა თუ ცნებათა სისტემისგან იზოლირებულად, არც სამართლებრივი წესრიგისათვის დამახასიათებელი ფასეულობებისაგან დამოუკიდებლად. ის სამართლიანი და მიზანშეწონილობაზე დამყარებული სამართლებრივი წესრიგის ნაწილია. [21]

---

[19] საქმე №ას-953-2020 02 აპრილი, 2021 წელი ქ.თბილისი

[20] იხ. Kramer, Juristische Methodenlehre, 2.Aufl.2005, S.94 ff.)

[21] დავით კერესელიძე, „კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები", ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2009 წელი, გვ. 74).

ტელოლოგიური შეზღუდვითი განმარტების (რედუქციის) დროს ნორმა არ გამოიყენება, თუ მისი შეფარდება მიგვიყვანს კანონის მიზნის საწინააღმდეგო შედეგამდე.[22]

მაგალითად, შვეიცარიის ერთ-ერთმა კომუნამ აკრძალა ღობისთვის ხის მასალის გამოყენება, ხე-ტყის შეზღუდული რესურსის გამო, ღობის მასალად შეიძლებოდა მხოლოდ ქვის გამოყენება. ერთ-ერთმა მოქალაქემ სარჩელით მიმართა სასამართლოს სასაფლაოზე რკინის კონსტრუქციის ღობის გამოყენების გამო, ვინაიდან აღნიშნული სასაფლაოს იერსახეს აუშნოვებდა. სასამართლოს განმარტებით, კომუნის მიერ დადგენილი ნორმის მიზანი იყო, რომ შეეზღუდა ღობის მასალად ხის გამოყენება. სასამართლოს დასკვნით, ნორმის მიზანი იძლეობა რკინის ღობის მიმართ კომუნის მიერ დადგენილი წესის ტელეოლოგიური რედუქციის საშუალებას.[23]

როგორც უკვე აღინიშნა, ჰერმეტულად დაცვა დაკავშირებულია ჰაერგაუმტარ კონსტრუქციასთან, თუმცა რედუქციის საშუალებით ნორმის შინაარსიდან შეიძლება ამოღებული იქნეს ისეთი ნორმატიული შინაარსი რაც არ ამართლებს ამ ნორმის მიზანს.

დალუქვის მიზანია, რომ პროდუქტი დაცული იყოს მისი გახსნის მომენტამდე. ასეთი დალუქვის არსი არა ჰაერის ფიზიკური ბარიერით შეჩერებაა, არამედ ის, რომ პროდუქტი წარმოადგინოს როგორც შეუხებელი, ჰიგიენურად უსაფრთხო და პირველად მდგომარეობაში მყოფი.

როგორც კი ეს დალუქვა ირღვევა - იქნება ეს სტიკერის, დამცავი ფენის, ფოლგის, პლასტიკური ბარიერის ან სხვა ტიპის პირველადი შეფუთვის სახით - პროდუქტი კარგავს იმ გარანტიას, რომ იგი ჰიგიენურად სუფთაა და ჯანმრთელობის დაცვის სტანდარტებს აკმაყოფილებს. მნიშვნელოვანია, რომ ჯანმრთელობისა და ჰიგიენის რისკი არსებობს არა ჰაერის მოხვედრის შემთხვევაში, არამედ შეფუთვის ნებისმიერი დარღვევისას, რომელიც მიუთითებს პროდუქტის გახსნაზე ან მანიპულაციაზე.

ამიტომაც, ზემოთქმულიდან გამომდინარე, კანონის მიზნებისა და პრაქტიკული დანიშნულების გათვალისწინებით, ტერმინი „ჰერმეტულად დაცული“ არ შეიძლება შეზღუდულად გავიგოთ მხოლოდ როგორც ჰაერგაუმტარი შეფუთვა, არამედ ისეთი დალუქვა, რომელიც ქმნის გარანტიას, რომ პროდუქტი არის ხელუხლებელი, ჰიგიენურად უსაფრთხო და პირველადი, რომელიც მომხმარებლის მიერ ჯერ არ გახსნილა და არ გამოყენებულა.

ყველა ჰიგიენური ნივთის ჰაერგაუმტარი გზით დალუქვა რეალურად შეუძლებელია, შესაბამისად, ნორმის სიტყვა-სიტყვითი განმარტებით, აღნიშნული ჰიგიენური პროდუქტები დაექვემდებარებოდნენ უპირობო დაბრუნებას, რაც საფრთხეს შეუქმნიდა სხვა მომხმარებელთა ჯანმრთელობას და მიგვიყვანდა კანონის მიზნის საწინააღმდეგო შედეგამდე.

---

[22] გიორგი ხუბუა, „სამართლის თეორია“, მეორე, შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2015, გვ. 187-188

[23] Tschentscher, A., Grundprinzipien des Rechts, S. 138.

ყოველივე ზემოთთქმულის შესაბამისად, „ჰერმეტულად დაცულად“ შეიძლება იქნეს მიჩნეული ნებისმიერი სტიკერი ან დამცავი ფენა, რაც უზურნველყოფს პროდუქტის ჰიგიენურად დაცვას. ტერმინს უნდა მიენიჭოს ფართო მნიშვნელობა, რაც დაავიწროვებს ნორმის მოქმედების არეალს.

მოვაჭრის მიერ წარმოდგენილ პოზიციაში მოვაჭრემ უარყო საცურაო შორტის დალუქვის ფაქტი. მოცემულ შემთხვევაში სააგენტომ მომხმარებლისგან 2025 წლის 18 სექტემბრის N 02/4233 წერილით გამოითხოვა დეტალური ინფორმაცია ნივთის მდგომარეობის შესახებ, მისი მოვაჭრისგან გადმოცემისა და მომხმარებლის მიერ დაბრუნების ინიცირების მომენტისთვის. აღნიშნული წერილით მომხმარებელს ეთხოვა, დააზუსტოს ისეთი დეტალები, როგორიცაა ჰიგიენური იარლიყის არსებობა/არარსებობა ან/და სხვა გარემოებები, რაც ნივთის შეფუთვასთან არის დაკავშირებული.

მომხმარებელმა დაადასტურა, რომ ნივთი მიიღო ბრენდის იარლიყით, დამატებით ჰიგიენური იარლიყი კი ამ საცურაო შორტს არ გააჩნდა.

ჰერმეტულად დაცვა კანონის მე-14 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით დადგენილი გამონაკლისის დისპოზიციის ერთ-ერთი არსებითი ელემენტია. კანონი მოვაჭრეს ავალდებულებს, რომ თუ კი ის ახდენს ჰიგიენური ნივთების განსაზღვრას, მათი თავდაპირველი დაცვის ზომა სწორედ თავად უნდა მიიღოს ჰერმეტულად დაცვის გზით (ზემოთ განხილული განმარტებით). გამომდინარე აქედან, ამ საგამონაკლისო ნორმის ამოქმედებითვის საჭიროა ზემოთ თქმული სამი კუმულატიური ელემენტის არსებობა:

- ჰერმეტულად დაცული
- ჰიგიენური ნივთი
- ჰერმეტული დაცვის დარღვევა

აღნიშნული ელემენტებიდან თითოეული უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად. გამომდინარე იქედან, რომ საცურაო შორტი არ იყო დალუქული არანაირად, საქონელი ვერ მიიჩნევა ჰერმეტულად დაცულად, რაც მე-14 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით დადგენილი გამონაკლისის დისპოზიციის ერთ-ერთი არსებითი ელემენტია. მიუხედავად იმისა, რომ საცურაო შორტი შესაძლოა იყოს ჰიგიენური ნივთი, სააგენტო არ დააყენებს აღნიშნულ ჰიპოთეზას, ვინაიდან დადგენილად არის მიჩნეული პირველი არსებითი კუმულატიური ელემენტის არარსებობა, რაც შემდგომი ელემენტების შემოწმების საჭიროებას აღარ წარმოშობს.

შესაბამისად, მოვაჭრეს არ აქვს არანირი სამართლებრივი საფუძველი შეზღუდოს მომხმარებლის კანონოთ მინიჭებული უფლება და უარი უთხრას მომხმარებელს ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნაზე.

მოვაჭრე ვალდებულია, სრულად აღადგინოს იმ მომხმარებელთა სავარაუდოდ დარღვეული უფლებები, რომელთაც მისი საქმიანობის შედეგად შესაძლოა ზიანი მიადგათ. კერძოდ, მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებულია უკან დაიბრუნოს მე-13, მე-14 და მე-15 მუხლების დაცვით დაიბრუნოს მომხმარებლის მიერ შეძენილი საქონელი.

თავი 4. სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის N45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-17 მუხლის საფუძველზე სააგენტომ:

გადაწყვიტა:

დადასტურდეს, შპს „თრეიდლაინის“ (ს/ნ: 203827449) მიერ, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევის ფაქტი.